ოქმი:**ო02. 3726105001**

თარიღი:**15/04/2026**

ოქმი №6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 15 აპრილი

ქ.ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მ. ჩხიკვიშვილი, ნ. გობრონიძე, ნ. ურუშაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ხურციძე, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, ზ. მორჩილაძე, გ. გაბისიანი, ე. გორდელაძე..
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: **დავით ჭაკნელიძე**

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში არსებული უსახელო ქუჩისთვის ჯემალ გახოკიძის სახელის მინიჭების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი- განაცხადა, რომ საკითხი ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორგიელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონებას, შემდეგ კონკრეტულად, გააცნო პროექტი-ქ. ოზურგეთში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ტროტუარებისა და განათებების მოწყობა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გაცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი- განაცხადა, რომ იგი ეხება შეკვეთილში უსახელო ქუჩისათვის „ჯემალ გახოკიძის“ სახელის მინიჭებას, მასალები გაიგზავნა შესაბამის სამთავრობო კომისიაში, რომელიც თანახმაა აღნიშნულ ქუჩას ეწოდოს „ჯემალ გახოკიძის“სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნები და დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი